ხელშეკრულება N42

ქ. თბილისი

18 მაისი, 2015 წ.

ერთის მხრივ, *შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"*, წარმოდგენილი მისი *გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის* სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, **შპს "თეგეტა მოტორსი"** წარმოდგენილი მისი *გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის* სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები აღარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

1.2 *ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:*

1.2.1 **„ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ"** (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ერთ მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2.2 **„ხელშეკრულების ღირებულება"** ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.2.3 **"შემსყიდველი ორგანიზაცია"** (შემდგომში–„შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.2.4 **"მიმწოდებელი"** ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს/მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.2.5 **"დღე", "კვირა", "თვე"** ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **ავტომანქანა Toyota Camry-ის (GLC-199) საქონლის (სანისლე ფარის პლასტმასი და სანომრე პლასტმასი) და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა.**

2.2 შესყიდვის ობიექტის დასახელება და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესყიდვის ჯამური ღირებულება შეადგენს *195 (ასოთხმოცდათხუთმეტი) ლარს,* საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის/მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

4.2 საქონელი/მომსახურება მიწოდებულ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, მიღება ჩაბარების აქტს ჩაიბარებს *შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის" შესყიდვების კოორდინატორი – მაია კუჭაშვილი.*

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2 ანგარიშსწორების საფუძველია მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტირა.

6.3 მიმწოდებელთან ანგარიშწორება ხორციელდება მომსახურების დასრულებიდან *5 (ხუთი) საბანკო დღეში.* 6.2. პუნქტში მითითებული მოთხოვნების დაცვით.

7. მხარეთა უფლებები

7.1 *„მიმწოდებელს“ უფლება აქვს:*

7.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.

7.2 *„შემსყიდველს“ უფლება აქვს:*

7.2.1 მოითხოვოს ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1 *„მიმწოდებელი“ ვალდებულია:*

8.1.1 დადგენილ ვადაში გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი/მომსახურება.

8.1.2 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.2 *„შემსყიდველი“ ვალდებულია:*

8.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა 6.3. პუნქტით გათვალისწინებული წესითა და ვადებში.

8.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

9.3 გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზის გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2 მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება *2015 წლის 30 ივნისამდე.*

13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

14. ბოლოდროინდელი ცვლილებები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება შემსყიდველთან და მეორე მიმწოდებელთან რომელთაც თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"	შპს "თეგეტა მოტორსი"
მის. ჭავჭავაძის გამზ. №34	ადმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5
ს/ს "ლიბერთი ბანკი" (ცენტრ. ფილიალი 480)	სს „თიბისი ბანკი" ც/ფ
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი 220101830
ანგარიშის № GE28LB0113121375356003	ანგარიშის № GE80TB0600000024467853
საიდ. კოდი: 204568208	საიდ.კოდი 202177205
---	---
გენერალური დირექტორი	გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე	თემურ კოხოძე

დანართი №1

№	ობიექტის დასახელება	CPV კოდი	რ-ბა	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი
1	ავტომობილის სალონის ქიმწმენდა	50112000	1	150.00	150.00
2	ავტომობილის მარცხენა სანისლე ფარის პლასტმასი	34351100	1	30.00	30.00
3	ატომობილის სანომრე პლასტმასი	34351100	1	15.00	15.00
					ჯამი: 195 ლარი

"შემსყიდველი"

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

"მიმწოდებელი"

გენერალური დირექტორი
თემურ კოხოძე